

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მიმართვა ქ. ბათუმის მერიას**

**წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმის საფუძველზე საგანგებო ბიუჯეტის წარმოდგენასთან და სხვა რიგი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით**

- ქ. ბათუმის საკრებულოსა და ქ. ბათუმის მერიის (მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების), მათზე დაქვემდებარებულ დაწესებულებებში (ა(ა)იპებსა და შპს-ებში) სამსახურეობრივი პერსონალური ავტომანქანების რაოდენობა უნდა შემცირდეს, რასაც შესაბამისად მოყვება მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებაც. სამსახურეობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ, ქ. ბათუმის მერიაში - მერის, ხოლო საკრებულოში - საკრებულოს თავმჯდომარის დასაბუთებული გადაწყვეტილებით;
- გადაიხედოს და მაქსიმალურად შემცირდეს სამივლინებო ხარჯები;
- გადაიხედოს მერის, მისი მოადგილეების, მერიის სტრუქტურული ერთეულების, მერიას დაქვემდებარებულ სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების შრომის ანაზღაურება მიმდინარე წლის ბოლომდე;
- გადაიხედოს ქ. ბათუმის მერიას დაქვემდებარებულ შპს-ებსა და ა(ა)იპებში ხელოვნურად გაბერილი საშტატო ნუსხა;
- აიკრძალოს საშტატო ნუსხის, ასევე შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა;
- არ გაიცეს პრემია-დანამატი იმ პირებზე, რომელთა შრომის ანაზღაურებაც აღემატება 2000 ლარს;
- წარმომადგენლობითი ხარჯები გაწეული იქნას მხოლოდ უცხო ქვეყნის დელეგაციების, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, საერთაშორისო ორგანიზაციების გამასპინძლების მიზნით. სხვა ყველა სახის წარმომადგენლობითი ხარჯები გაუქმდეს და ეს ყველაფერი შესაბამისად აისახება ბიუჯეტში;
- შეჩერდეს პროგრამებიდან და ღონისძიებებიდან ისეთი ხარჯების დაფინანსება, რომელიც შეიცავს ტრენინგებს, კონფერენციებს, ფორუმებსა და სხვა მსგავს აქტივობებს, გარდა ბიზნესის მხარდაჭერისა და ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა;
- შეჩერდეს კულტურული, სპორტული და გასართობი ხასიათის ისეთი ღონისძიებების დაფინანსება, რომელთა განხორციელებაც, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელია (მაგალითად, ბათუმობის დღესასწაული, სამოყვარულო ფეხბურთი და მსგავსი ხასიათის ღონისძიებები);
- ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, ქ. ბათუმის საკრებულოსთან შეთანხმებით მცირე და საშუალო მეწარმეებს, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, მომავალი წლის ბოლომდე გაუუქმოს ან/და შეუმციროს იჯარის გადასახადი;
- დაიწყოს კონსულტაციები ბიზნეს ორგანიზაციებთან ქალაქში ყველა გაჩერებული პროექტის ასამუშავებლად, როგორც არის „როიალ კარიბიანის“ საკრუიზო გემების პორტის მშენებლობა, გონიოს „პოლიგონზე“ ტურისტული ქალაქის მშენებლობა, აეროპორტის მიმდებარე ფინანსური ცენტრის მშენებლობა და სხვა;

- ბათუმის მერიამ, ამ დოკუმენტის გათვალისწინებით, მოამზადოს ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი და გათვალისწინებული იქნას, რომ გამოთავისუფლებული თანხები მოხმარდეს კრიზისისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამების ამუშავებას, მათ შორის:
  - ა) თვითდასაქმებული მოქალაქეები, რომლებიც ვერ მიიღებენ დაფინანსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან, ისინი დაფინანსდნენ ბათუმის ბიუჯეტიდან.
  - ბ. საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის გაიცეს თითო ბავშვზე თვეში ას (ასი) ლარიანი ვაუჩერი სამი თვის განმავლობაში;
  - გ.) ამუშავდეს ბავშვთა კვებისა და მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა იმ ოჯახებისათვის, ვისი შემოსავალიც წელიწადში 12000 ლარზე ნაკლებია;
  - ე) 3 თვის განმავლობაში, დაფინანსდნენ ერთჯერადად 300 ლარიანი კომუნალურით ვაუჩერით ოჯახები, რომელთა შემოსავალიც წელიწადში 20000 ლარზე ნაკლებია, ასევე იმ ოჯახებს რომლებსაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი (მცირე ოდენობით, მაგრამ ასეთები არსებობენ ბათუმში), აჭარის მთავრობასთან კოორდინირებულად, მათზე კომპენსაციის სახით გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი;
- ინვესტიციების მოზიდვის, სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ქ. ბათუმის მერიამ აჭარის ა. რ. მთავრობასთან კოორდინირებულად უზრუნველყოს:
  - ა) ტურისტული სეზონისათვის უსაფრთხოების დაცვის სტრატეგიის მომზადება, ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ბიზნეს ოპერატორებთან ერთად;
  - ბ) მომზადდეს სარეკლამო მასალები და გაეგზავნოს საქართველოს საელჩოებს, უცხოურ საინვესტიციო ინსტიტუტებს, ბიზნეს ორგანიზაციებს.

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიერ  
ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა**

1. საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილეების, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისა და მოადგილეების შრომის ანაზღაურების შემცირება წლის ბოლომდე;
2. ბიზნესის მხარდასაჭერად მომავალი წლის ბოლომდე გააუქმოს ან/და შეამციროს ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახადები;
3. ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და წარდგენა, კერძოდ:

4. ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, ფუქციონირებადი მცირე და საშუალო ბიზნესი გათავისუფლდეს საშემოსავლო და ქონების გადასახადებისაგან 2020 წლის ბოლომდე, თუ ისინი შეინარჩუნებენ სამუშაო ადგილებს;

5.) იმ უცხოური კომპანიების ხელმძღვანელებზე, რომლებიც გადმოიტანენ სათაო ოფისებს, ან საწარმოებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოში ბინადრობის მოწმობების გამარტივებული გაცემა, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება 5 წლის განმავლობაში, ხოლო დღგ-ს გადასახადის დაწვევა 10%-მდე და საშემოსავლოსაგან გათავისუფლება 3 წლის განმავლობაში, თუ მათი თანამშრომელთა მინიმუმ 80% იქნება საქართველოს მოქალაქე;

6. იმ კომპანიებისათვის, რომლებიც გააკეთებენ სკოლას პროფესიულ სასწავლებელსა და უნივერსიტეტს, მათ შორის დისტანციური სწავლების ორგანიზებისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის, ან შენობების უსასყიდლოდ გადაცემა, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება 10 წლის განმავლობაში, ასევე საშემოსავლო გადასახადის დაწვევა 10%-მდე 5 წლის ვადით;

7. ქ. ბათუმში არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის იმპორტის დროს დღგ-ს გადახდა განხორციელდეს საქონლის რეალიზაციის შემდეგ, ეს მძიმე ტვირთად აწევს იმ მეწარმეებს, რომლებსაც შემოაქვთ საქონელი, დასაწყობებული აქვთ და წინასწარ იხდიან დღგ-ს. ეს წესი მოქმედებდა 2014 წლამდე, 200 000 ლარამდე ვისაც ჰქონდა ბრუნვა დღგ-ს იხდიდნენ საქონლის იმპორტირებისა და საქონლის გაყიდვის შემდეგ;

8. ქ. ბათუმში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საბაჟო საწყობის ორგანიზების შემთხვევაში, საბაჟო გაფორმებისას დეკლარაციის ღირებულება განისაზღვროს 100 ლარი (დღეს მოქმედი კანონმდებლობით 3000 ლარამდე 100 ლარია გადასახდელი, 3000-15000 ლარამდე 300 ლარი ხოლო 15000-ს ზემოთ 400 ლარი);

9. გამოიყოს ტერიტორია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოსაწყობად და დაიწყოს კონსულტაციები უცხოური კომპანიების მოსაზიდად;

ზ) ყველა უცხოელ ინვესტორს, რომელიც განახორციელებს მილიონ აშშ დოლარზე მეტ ინვესტიციას ბათუმში - მოქალაქეობის მინიჭება, მათი სურვილის შემთხვევაში, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეთხოვოს შემუშავებული იქნას დევნილებისათვის

სოციალური მხარდაჭერის პაკეტი, მითუმეტეს რომ ჩვენს ქალაქში ბევრი ასეთი ოჯახი ცხოვრობს;

- ბაზრობებსა და ბაზრებში, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია დასაქმებული მეწარმეები გათავისუფლდნენ გადასახადისაგან, ასევე კერძო ბაზრობებთან ერთად შემუშავდეს შეღავათების პაკეტი დასაქმებული მეწარმეებისათვის მომავალი წლის ბოლომდე.

ბათუმის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ფრაქცია  
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ფრაქციის თავმჯდომარე,

მირდატ ქამადაძე